

ტესტის სახელწოდება

CA-125 (Cancer Antigen 125 - კიბოს ანტიგენი 125)

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ეს ტესტი სისხლში CA-125-ს დონეს განსაზღვრავს. CA-125 ცილაა, რომელიც საკვერცხის კიბოს უჯრედების ზედაპირზე გვხვდება. ეს ფაქტი საშუალებას იძლევა, CA-125 სიმსივნის მარკერად გამოვიყენოთ.

საკვერცხის კიბოს მქონე პაციენტებში CA-125 ხშირად არის მომატებული. ასეთ შემთხვევებში, ეს ანალიზი მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად და რეციდივის გამოსავლენად გამოიყენება.

CA-125 საკვერცხის კიბოს სკრინინგისთვის არ გამოიყენება, რადგან მისი მომატება შეიძლება გამოიწვიოს სხვა ტიპის ავთვისებიანი სიმსივნეებმაც. იგი ასევე იმატებს ორსულობის და მენსტრუაციის დროსაც.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

როდესაც პაციენტს საკვერცხის კიბოს დიაგნოზს დაუსვამენ, CA-125-ს ანალიზი პირველად მაშინ კეთდება. თუ შედეგად CA-125-ს დონე მომატებული აღმოჩნდა, მაშინ მას სიმსივნის მარკერად იყენებენ - მკურნალობის დაწყებამდე, მკურნალობის მიმდინარეობისას და მისი დამთავრების შემდეგ, რამდენჯერმე ნიშნავენ CA-125-ს ტესტს, რათა ამ მარკერის დონეს დინამიკაში დააკვირდნენ.

თუ პირველად ჩატარებული CA-125 ანალიზის შედეგად, მისი დონე მომატებული არ აღმოჩნდა, მაშინ CA-125 მკურნალობის მონიტორინგისთვის ან რეციდივის გამოსავლენად არ გამოდგება.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს.

შედეგების ინტერპრეტაცია

როგორც აღინიშნა, CA-125 ტესტს პირველად მკურნალობის დაწყებამდე აკეთებენ. თუ CA-125 თავიდან მომატებული იყო და მკურნალობის შედეგად დაიკლო, ეს ნიშნავს, რომ მკურნალობა ეფექტური გამოდგა.

თუ ჩატარებული მკურნალობის შემდეგ, CA-125-ს დონემ ისევ დაიწყო მატება, ეს რეციდივის მანიშნებელი შეიძლება იყოს.

თუკი CA-125-ს დონე მკურნალობის დაწყებამდეც ნორმალური იყო, მაშინ კონკრეტული პაციენტისთვის იგი სიმსივნის მარკერად არ გამოდგება.